



WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #48

ნომბერი-დეკემბერი, 2015

გამოშვებაში
წაიკითხავთ

**“CYBER-EXE საქართველო 2015” - კიბერსავარჯიშო
საჯარო და კერძო ორგანიზაციების
წარმომადგენლებისთვის**

**CYBER-EXE
2015—**

კიბერსავარჯიშო
საჯარო და კერძო
ორგანიზაციების
წარმომადგენლებ
ისთვის

1

**მონაცემთა
გაცვლის
სააგენტომ
დამძობილების
(TWINNING)**

რიგით მეორე
პროექტი დაიწყო

2

**საქართველოს
კიბერუსაფრთხოე
ბისა და
ინფორმაციული
ტექნოლოგიების
განვითარების
რეგიონული
კონფერენცია**

3

GITI 2015

„ორგანიზაცია და
მართვის
სისტემები“ -
მონაცემთა
გაცვლის
სააგენტოს ახალი
სასწავლო კურსი



დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიურომ, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მხარდაჭერით, კიბერუსაფრთხოების იმიტირებული სავარჯიშოები - “CYBER-EXE საქართველო” 2015 გამართეს.

აღნიშნული ღონისძიების მიზანია საჯარო და კომერციული ორგანიზაციების ინფორმაციული

ტექნოლოგიების სპეციალისტების მომზადება კიბერშეტევების კრიზისული სიტუაციებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და, შესაბამისად, მოქალაქეების დაცულობას ამ მიმართულებით.

ღონისძიება გახსნეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, **მიხეილ სარჯველაძემ** და საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, **დავით ებრალიძემ**.

“კიბერუსაფრთხოება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ჩვენი სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის კიბერუსაფრთხოების დონის ამაღლებას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. შეუძლებელია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრების გარეშე როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციებში. მოხარული ვარ, რომ უკვე მეორედ საქართველოში, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურის შესაბამისი პროფილის თანამშრომლებს საშუალებას ვაძლევთ მონაწილეობა მიიღონ რეალურ სავარჯიშოებში და გამოსცადონ საკუთარი თავი იმიტირებული კიბერშეტევების გაუვნებელყოფის პროცესში” - აღნიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ, **ირაკლი გვენეტაძემ** (გაგრძელება გვ. 2)



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) აღნიშნული სავარჯიშო შეჯიბრის ხასიათს ატარებს, რომლის დროსაც თითოეული მონაწილე ორგანიზაციის გუნდი წინასწარ მომზადებული კიბერშეტყვის პირობებში განახორციელებს ვირტუალური სივრცის დაცვის ოპერაციას. სავარჯიშოს შედეგად გაანალიზდება თითოეული გუნდის სუსტი და ძლიერი მხარეები და გუნდების გაძლიერების მიზნით მომზადდება რეკომენდაციები.

მსგავი ფორმატი მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა და მას “წითელი და ლურჯი” ჯგუფების სავარჯიშოებს უწოდებენ.

„21 საუკუნეში ნებისმიერი კონფლიქტი გაჯერებულია კიბერ ელემენტებით, შესაბამისად ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია კიბერსივრცის დაცვა. კიბერუსაფრთხოება საერთო პასუხისმგებლობაა სახელმწიფო და კერძო სექტორებისთვის და მოითხოვს მხარეთა აქტიურ თანამშრომლობას. მიმაჩნია, რომ მსგავსი სავარჯიშოები ხელს შეუწყობს ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბებას კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს შორის. მოხარულნი ვართ, რომ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად აღნიშნულ ღონისძიებას ვუწევთ ორგანიზებას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კიბერუსაფრთხოების ბიუროსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობას,“ - განაცხადა კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორმა, **ანდრია გოცირიძემ**.



ღონისძიებაში 16 გუნდი იღებს მონაწილეობას. თითოეული გუნდი წარმოდგენილია 2-3 წევრით. მონაწილეები წარმოადგენენ როგორც საჯარო, ისე კერძო სტრუქტურების შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს. დაგეგმილია, რომ ღონისძიება ყოველწლიურად გაიმართოს, რითაც კიდევ უფრო მეტი წვლილს შეიტანს ქვეყნის კიბერუსაფრთხოების დონის ამაღლების საქმეში.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დამმობილების (TWINNING) რიგით მეორე პროექტი დაიწყო



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების (TWINNING) რიგით მეორე პროექტის გახსნის ცერემონიალი გამართა.

პროექტის მიზანია საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა. ელექტრონული მმართველობა ხელს უწყობს მოქალაქეების გამარტივებულ და ეფექტიან კომუნიკაციას სახელმწიფოსთან, ზრდის საყოველთაო კეთილდღეობის დონეს და ქვეყანას აყენებს თანამედროვე სახელმწიფოების რიგში.

ღონისძიების მონაწილეებს გახსნითი სიტყვით მიმართეს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა**, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მარინა კალიურანდმა** და სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში **დავით ბაქრაძემ**.

პროექტის ფარგლებში რამდენიმე მიმართულებით წარმართება მუშაობა: ელ-მმართველობის განვითარება; საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობისა და ხარისხის გაძლიერება და გაზრდა; ევროკავშირის ქვეყნებში არსებული საუკეთესო გამოცდილების საქართველოში დანერგვა და ჩვენი ქვეყნის ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოება; საზოგადოებაში ელექტრონული სერვისების პოპულარიზაციის ხელშეწყობა; ელ-საქართველოს სტრატეგიის განხორციელების მხარდაჭერა (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

„მოხარული ვარ, რომ ევროკავშირი, სხვა პარტნიორებთან ერთად, აქტიურად არის ჩართული საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების პროცესში. გვქონდეს შესაძლებლობა, რომ გავიზიაროთ ევროკავშირის ქვეყნებში ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკა და მჭიდროდ ვითანამშრომლოთ მათთან, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ვაფასებთ ჩვენი პარტნიორებისა და დონორების მისწრაფებას დაეხმარონ საქართველოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სფეროსა და ელექტრონული მმართველობის განვითარების პროცესში, ვინაიდან მათ გარეშე წამოიშობება ამა თუ იმ ორგანიზაციის, ინსტიტუტისა და, გნებავთ ქვეყნის, სრულყოფილი ფუნქციონირება“ - ირაკლი გვენეტაძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

პროექტის ხანგრძლივობაა 18 თვე. პროექტი ფინანსდება ევროკავშირის მიერ. ბიუჯეტი - 1.3 მილიონი ევრო.

„ელ-მმართველობის მიზანია საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობისა და ხარისხის გაზრდა. ელ-მმართველობა ამარტივებს სახელმწიფოსთან კომუნიკაციას მოქალაქეებისა და ბიზნესებისთვის, ამცირებს ხარჯებს და მნიშვნელოვნად აჩქარებს შიდა პროცედურებს. ამასთან ერთად, საჯარო სერვისების ხარისხი და გამჭვირვალობის დონე იზრდება ყველას საკეთილდღეოდ. ასე, რომ ტერმინი - ელ-მმართველობა თანამედროვე სახელმწიფოს სიმბოლოდ მოიაზრება“ - ივარ ტალო, მუდმივი საერთაშორისო მრჩეველი, ევროკავშირის დამმობილების პროექტი.



პროექტს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად განახორციელებს ტენდერში გამარჯვებული ესტონურ-იტალიური კონსორციუმი.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დამმობილების პროგრამის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს საჯარო დაწესებულებების თანამშრომლობას მათ პარტნიორებთან ევროკავშირის ქვეყნებში.

საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების VIII რეგიონული კონფერენცია - GITI 2015



(გამოფენა, დაჯილდოება) გაიმართა, რომლის მთავარ თემას კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებები წარმოადგენდა. კონფერენცია წლის საუკეთესო IT პროექტების ავტორთა დაჯილდოების ცერემონიალით 20 ნომბერს დასრულდა.

ყოველწლიურ კონფერენციას უკვე მოპოვებული აქვს საერთაშორისო აღიარება როგორც ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სფეროში ერთ-ერთ წამყვან ღონისძიებას, რომელსაც საქართველო მასპინძლობს. კონფერენციის დამსახურებით, წლიდან-წლამდე უმჯობესდება ინოვაციური პროექტების ხარისხი, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის უკეთესი ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობას.

ღონისძიება გახსნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, **ალექსანდრე ტაბატაძემ**.

(გაგრძელება გვ. 4)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ICT ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით 19-20 ნომბერს, სასტუმრო „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისში“ რიგით VIII ყოველწლიური რეგიონული კონფერენცია

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 3) წლევანდელმა კონფერენციამ, რომლის დევიზია „პარტნიორობა კონკურენციის, ინოვაციებისა და კიბერუსაფრთხოებისთვის“, რეკორდული რაოდენობის სტუმარს უმასპინძლა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულმა მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელმა განიხილა კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების საკითხები, წარმოადგენა წლის განმავლობაში შემუშავებული ინოვაციური IT პროექტები და გაეცნო აღნიშნული მიმართულებით ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მიღწეულ წარმატებებს.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო როგორც საქართველოში, ისე რეგიონში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხებს, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების პროექტებს, ასევე ამ პროექტებში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პროცესს.

„რვა წლის მანძილზე ყოველი მომდევნო კონფერენცია განვითარების ახალ საფეხურზე გადადიოდა. დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ICT ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით გამართული ღონისძიება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში რეგიონული მასშტაბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც თავს უყრის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სფეროში ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნების წამყვან მოთამაშეებს, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციამ არსებობის 8 წლიანი ისტორიის მანძილზე შექმნა საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობის უნიკალური მოდელი, რომლის მიხედვითაც ორივე მხარე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარებისთვის ერთობლივი ძალისხმევით მუშაობს“ - აღნიშნა **ალექსანდრე ტაბატაძემ**, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ.

კიბერუსაფრთხოების შესახებ პრეზენტაციები გააკეთეს ამ მიმართულების მსოფლიოში აღიარებულმა ექსპერტებმა.

კონფერენციის მე-2 სამუშაო დღე მთლიანად დაეთმო კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება წარმოდგენილია ინფორმაციული უსაფრთხოების გადაწყვეტილებების გარეშე. დღეისათვის საქართველო ელექტრონული მმართველობის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს გადის. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ იქმნება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არაერთი მომსახურება და ამით მარტივდება და ფაქტობრივად ახალ ეტაპზე გადადის სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობა. ეს პროცესი კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან. ამდენად, კონფერენციას ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთანავე, როგორც ელექტრონული მმართველობის, ისე ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა და მოხარულები ვართ, რომ ჩვენი სააგენტო მისი დაარსებიდან მოყოლებული ამ კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორია“ - აღნიშნავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე, **ირაკლი გვენეტაძე**.

კონფერენცია ტრადიციულად დაჯილდოების ცერემონილით დასრულდა. წელს 15 ნომინაციაში როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან 50-მდე პროექტი იყო წარდგენილი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სტრუქტურებიდან გამარჯვება მოიპოვეს საჯარო რეესტრისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოებმა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო გამარჯვებულად გამოცხადდა შემდეგ ნომინაციებში: "საუკეთესო რეგიონული მუნიციპალური ელ. გადაწყვეტილება" და "საუკეთესო online საინფორმაციო წყარო", ხოლო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კი სამ ნომინაციაში მოიპოვა საუკეთესოს ჯილდო: „ინფორმაციული უსაფრთხოების საუკეთესო მენეჯმენტი“, „საუკეთესო IT მენეჯმენტი“ და „ფართოდ გამოყენებული ელექტრონული სერვისი“.



GITI 2015



GITI 2015

"ორგანიზაცია და მართვის სისტემები" - მონაცემთა გაცვლის სააგენტო ახალ სასწავლო კურსს იწყებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველო დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის იწყებს მორიგ უფასო სასწავლო კურსს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ინფორმაციული უსაფრთხოების პოპულარიზაციასა და ცნობიერების ამაღლებას.

ამ მიზნით სააგენტო ახალგაზრდებს უკვე მეორე სასწავლო კურსს სთავაზობს. პირველი მათგანი - „კიბერ კლასი“ - წარმატებით დასრულდა და კურსდამთავრებულებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცა. მეორე სასწავლო კურსი კი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან მიმართულებას - ორგანიზაციაში მართვის სრულყოფილი სისტემების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას ეძღვნება. კურსი დაიწყებს პროფესიონალებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმაცია თუ რა როლი ენიჭებათ მართვის სისტემებს ორგანიზაციის მართვაში და, კერძოდ, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

„ახალგაზრდა თაობის განათლება და დახელოვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. ორგანიზაცია, რომელშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მართვის სისტემები, მდგრადია როგორც კიბერ, ისე ინფორმაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით. სასწავლო კურსის "ორგანიზაცია და მართვის სისტემები" მიზანია, დაინტერესებულ ახალგაზრდებს გააცნოს მართვის სისტემების მნიშვნელობა ორგანიზაციაში და გაუზიაროს მათ სააგენტოში ამ მიმართულებით დაგროვილი ცოდნა“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

გარდა ამისა, კურსის გავლით მსმენელები გამოიმუშავენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს შემდეგი მიმართულებებით: ორგანიზაცია და ორგანიზაციული კონტექსტის ანალიზი, მმართველობა და მართვა, პროცესის რაობა, ტექნოლოგიები და ინფორმაციული სისტემები, ორგანიზაციის განვითარების დონეები, მუდმივი გაუმჯობესება, როლები და პასუხისმგებლობები, რესურსები, კომუნიკაცია, დოკუმენტაცია, მართვის სისტემები და მათი დანიშნულება.

უფასო კურსზე დამსწრეთა შერჩევასა უპირატესობა მიენიჭება შემდეგ სპეციალობებს: ბიზნესის და/ან ორგანიზაციული მენეჯმენტი; ინფორმაციული ტექნოლოგიები და/ან ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვა; სამართალმცოდნეობა.

სრული კურსი მოიცავს 6 სასწავლო კვირას. კვირაში გათვალისწინებულია ერთი 2-3 საათიანი ლექცია. კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სპეციალური სერტიფიკატები.

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ